ეროვნული ბიბლიოთეკა


# თავისუფალი საქართველო

მრგვალი მაგიდის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

27 XII 1991 ფასი 50 კაპ. № 49 (54)


# საქართველოს ვულოცავთ დამდეგ ახალ წელს

ერთმანეთს ერთმანეთით გული გავუგულადოთ და ამისათვის ღონე ღონეს გადავაბათ, მხარი მხარს მივცეთ, ერთმანეთის სიყვარული ვამოციქულოთ და ამ წინდებულს ახალს წელიწადს იმას ვაქმნევინებთ, რაც ჩვენ გვინდა, და არა იმას, რაც მასა ჰსურს. ვიმხნეოთ ერთად-ერთის გულით, ერთის სულით, ერთმანეთის ნდობით. ვინც მხნეა, ის ძლიერია. მაშ „მხნე იყავ და გაძლიერდი!..“ აი, ჩვენი საახალწლო მოლოცვა, ჩვენი საახალწლო ნატვრა.

ილია.

## საქართველოს ველარ დააჩოქებთ

**ქალაქში** დადის ხმები, რომ ინტელიგენციის ერთი ჯგუფი აგროვებს ხელმოწერებს იმის დასადასტურებლად, რომ ისინი ემიჯნებიან ე. წ. ოპოზიციის ბარბაროსულ ქმედებას.

ეს არ არის საკმარისი, დღეს საქართველოში ომი მიმდინარეობს. მხოლოდ გამიჯვნა საქმეს არ შველის. ჩვენ ყველამ, ვისაც რა ძალა გვაქვს უნდა **ვიბრძოლოთ იმისთვის, რომ საქართველოში აღდგეს** მშვიდობა, რისი ერთადერთი გარანტი არის კანონიერი, ხალხის, ქართველი ერის, საქართველოს მოსახლეობის მიერ არჩეული ხელისუფლების მიმართ შეიარაღებული ტერორის შეწყვეტა.

დღეს არა გვაქვს იმისი დრო, რომ ვინმემ საკუთარ რეპუტაციაზე იზრუნოს. ჩვენ საქართველო უნდა ვიხსნათ განსაცდელისგან.

ვისაც თავისუფლება და მშვიდობა უნდა, დადგეს კანონიერი ხელისუფლების გვერდით. ეს უპირობო მოთხოვნაა. ნურავის ექნება იმედი, რომ არსებობს სხვა გზა. ქართველი ერი არ დაემორჩილება იარაღით თავსმოხვეულ ძალადობას — მას ზვიად გამსახურდია სურს პრეზიდენტად, ვინც არ უნდა ოცნებობდეს სისხლისღვრით მისი ადგილის დაკავებაზე, ინტელიგენტი, ბანდიტი, პოლიტიკოსი თუ კონგრესმენი — იცოდეს, რომ საქართველოს დაჩოქებას ვერ მოახერხებს. ამ გზას ულევი სისხლი მოჰყვება.

დაგვანებეთ ჩვენი (თავისუფალი, სამჯერ დადასტურებული) ნებით არჩეული ხელისუფლების მმართველობა საქართველოში.

## ენდეთ ვაჟას აზრს

ღალატი... ადამიანის მოდგმის მუდმივი თანამგზავრი, ბოროტების სულისჩამდგმელი, სიკეთისა და სიყვარულის წამბილწავი, აყვავებული ქვეყნების მნგრეველი, უდიდესი სატანური ძალა. სამწუხაროდ, იგი ყოველთვის არსებობდა, არსებობს და მომავალშიც იარსებებს. მისი დამთრგუნავი ძალა ერთგულებაა. ერთგულება ღალატზე ძლიერი და ყოვლისშემძლეა. ერთგულები უპირისპირდებოდნენ მოღალატეებს, ერთგულები აშენებდნენ და აყვავებდნენ მოღალატის მიერ დანგრეულსა და იავარქმნილს. ვერც ერთი ერი ვერ დაიკვეხნის, რომ მას მოღალატე არა ჰყავს. მოღალატეს ქვეყნის მტერი ძერწავს, ზურგს უმაგრებს, დაპირებებით ავსებს, ხოლო სულმოკლე, უნებისყოფო, პატივმოყვარე კაცუნები საოცარი სისწრაფით ეხვევიან მოღალატის თვალისმომჭრელ და ამაზრზენ მანტიაში და უეცრად უმნიშვნელო, შეუმჩნეველი, თითქოსდა მშვიდი და ჭკვიანი ერისკაცად ევლინება თავის ქვეყანას. ის, ვინც გუშინ საკუთარ ღირსებასაც ვერ იცავდა, დღეს ზოგადსაკაცობრიო კატეგორიებით მსჯელობს, თითს გვიქნევს, ზოგჯერ მუშტსაც გვირტყამს მაგიდაზე, ჭკუას გვასწავლის, დემაგოგიურად გვმოძღვრავს, ფაქტებს აყალბებს, ხალხს მაგარი გულით (უფრო სწორად ზურგით) უპირისპირდება და ბოლოს იარაღს გვიმიზნებს, რათა ალგვავოს პირისაგან მიწისა.

დიახ, მოღალატე ყველა ერსა ჰყავს, მაგრამ მე დღეს ჩვენი ქვეყნის მომრავლებულ მოღალატეებს მინდა მივმართო.

საქართველოს ინტელიგენტებო, მეცნიერებო, რეჟისორებო, მსახიობებო, მოჭადრაკენო და ყველა, ყველა, ყველა, ვინც განუდექით საქართველოს პრეზიდენტსა და ხელისუფლებას, ვინც აწყობდით მიტინგებს დემოკრატიის სახელით, ვინც იდექით შეიარაღებული, ამბოხებული, ფიცის გამტეხი გვარდიელების გვერდით და აქეზებდით მათ, ვინც სახელად „ოპოზიცია“ დაირქვით და განსხვავებული აზრის მქონე „დევნილებად“ წარმოიდგინეთ თავი, ვინც დაარბიეთ ტელევიზია, ვინც დააფრთიანეთ სტუდენტები პრეზიდენტისათვის ჭკუის სასწავლებლად, ვინც გაამხნევეთ და გზა დაულოცეთ ყოფილ პრემიერსა და ყოფილ სარდალს დაენგრიათ თბილისი, დაეხოცათ ადამიანები, მოეწყოთ ვანდალური აქციები, გიცხადებთ, რომ ის, რაც დღეს საქართველოში ხდება არის საქართველოს ღალატი, ორასწლიანი ოცნების დასამარება და თქვენ, ყველას ერთად თუ თითოეულს ცალ-ცალკე მიღებული გაქვთ მონაწილეობა ამ ღალატში. ერთადერთი გზა, რომელიც თქვენ გრჩებათ და რომელიც საუკუნო სირცხვილს და რისხვას აგარიდებთ არის ის, რომ ყველაფერი იღონოთ იმისათვის, რათა შეწყდეს თქვენი ძალისხმევით გამოწვეული სისხლისღვრა. ის, რომ თქვენ არ გრძნობთ თავს დამნაშავედ, არაფერს ნიშნავს, ჩვენს საქციელზე სადად სხვები იმსჯელებენ, ერი ყოველთვის შეუცდომელია, ენდეთ ვაჟას აზრს: **„ერი შეერთებულად გენიოსია...**

იქ, სადაც ერი თავის თვალითა ჰხედავს და მთელის თავისი სხეულითა გრძნობს, განძრახ „აზრების“ თესა ამაოდ დროს დაკარგვაა... ერი უარგყოფთ, როგორც თქვენ უარჰყავით იგი...“.

**ნანა დოლიძე**

## ეს სამოქალაქო ომი არ არის

გაჩნდა თუ არა ბზარი, რუსეთის იმპერიის ხელოვნური მთლიანობისა, ქართველმა ერმა თავისუფლება აირჩია თავის გზად და ხელი მოჰკიდა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი პოლიტიკის რესტავრაციას, თუმც ამას, აპრილის სისხლიანი დღე დასჭირდა. დღეს ეს ბზარი ნაპრალად იქცა. დაიმსხვრა იმპერია, მოიშალა ცენტრის „ცენტრალური“ აპარატები, თუმცა, მხოლოდ აპარატები და სამინისტროები. იდეა კი საბჭოური თუ რუსული იმპერიული მთლიანობისა „სოდრუჟესტვოს“ სუვერენულ რესპუბლიკათა ერთობაში ტრანსფორმირდა. და აქაც, ამ ახალ „სატყუარასაც“ სახე საქართველომ გამოუჩინა, ნაპრალი გაალრმავა. მან ერთადერთმა 12 რესპუბლიკათა შორის უარი თქვა „სოდრუჟესტვოს“ მხარდამხარ „დამოუკიდებელ“, „სუვერენულ“ რესპუბლიკად თანაარსებობაზე.

ამით საქართველომ არამხოლოდ საკუთარი არჩევანი გააცხადა, არამედ ყველა თავისუფლებისათვის მეოცნებე, ან მებრძოლ ერს გამარჯვების რწმენა ჩაუსახა. დღეს საქართველოში მარტო ჩვენი ბედი არ წყდება. ჩვენ მრავალნი შემოგვცქერიან იმედით. ნურავინ იფიქრებს, რომ ბრძოლა, რომელიც ჩვენს ქვეყანაში მიმდინარეობს, მაინცდამაინც ულირსობის მაჩვენებელია. გაცილებით უფრო ულირსად მეჩვენება ერი, რომელიც უბრძოლველად თმობს თავისუფლებას.

ნუ ვიტყვით, რომ საქართველოში სამოქალაქო ომი მიმდინარეობს. ეს თავისუფლებისთვის, დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის გაგრძელებაა, რომელიც 1988 წლის ნოემბრის შიმშილობით დაიწყო. გაიხსენეთ, როგორ მოგვიწოდებდნენ სიფრთხილისკენ, გონიერებისკენ, დათმობისკენ... ეს „მშვიდობიანი“ მოწოდებები სხვა არა იყო რა, თუ არა მცდელობა, შეეფერხებინათ ჩვენი სწრაფვა თავისუფლებისკენ და ჩვენ ეს ვიცოდით.

ვინ გვესაუბრებოდა მაშინ ტელეეკრანებიდან? ინტელიგენცია, შემოქმედებითი ელიტა, საზოგადოების ნაღები...

დღეს, იმ დროს, როცა ნაბიჯ-ნაბიჯ, დაცინვის, უიმედობის, შიშის, სისინის გადალახვით მაინც მივუახლოვდით იმედის, ხსნის გზას, ძალა დაგვიპირისპირეს. ახლა ვინ ებრძვის ჩვენს თავისუფლებას?.. იგივე ინტელიგენცია, შემოქმედებითი ელიტა, საზოგადოების ნაღები; გვებრძვის, ოღონდ ამჯერად ბანდიტების ხელით.

ბედნიერია ერი, რომელსაც მიუხედავად იმისა, რომ ასეთი „მომღვარი“ ჰყავს, უბრძოლველად არ თმობს ოცნებას. ის ერი უძლეველია.

—ის, ვინც საქართველოს დამოუკიდებლობის დამხობას გეგმავდა, იცოდა, რომ ევროპული შობის შემდეგ რესპუბლიკების ცნობა იყო გადაწყვეტილი დიდ პოლიტიკაში. გახსოვთ, განუწყვეტელი შეგონებები — სანამ გამსახურდიაა საქართველოს პრეზიდენტი, არც ერთი ქვეყანა ჩვენ არ გვცნობსო. მერე ჰორიც გავრცელდა — შევარდნაძემ ჰემოთვალა, ოცდახუთამდე თუ არ დაამხობთ ხელისუფლებას, მე ველარ გიშველითო. ამაში იყო ოინი. პუტჩისტებს გამსახურდია 22-23 დეკემბერს უნდა გადაეგდოთ და 25-დან საქართველოს ინტენსიური აღიარება დაიწყებოდა. „ბრიყვი“ ქართველი ერი ამას გამსახურდიას დამარცხებასთან დააკავშირებდა და ბუნებრივად ჩათვლიდა, რომ, აღიარება „დემოკრატიული“ ოპოზიციის სისხლიანმა გამარჯვებამ მოგვიტანა...

ჩვენ დღეს უკვე გავიმარჯვეთ. არსებითად გავიმარჯვეთ. ვერავინ და ვერაფერმა ჩაკლა ჩვენი სწრაფვა თავისუფლებისკენ. დანარჩენი დროის საქმეა.

ვულოცავთ საქართველოს პრეზიდენტს ზვიად გამსახურდიას მისდამი მინდობილი ქვეყნის მსოფლიოს მიერ აღიარებას.

**დღეისათვის საქართველო — სცნო 18 ქვეყანამ: რუმინეთი, მოლდავეთი, სომხეთი უკრაინა, თურქეთი, შვეიცარია, შვედეთი, ფინეთი, მონღოლეთი, ეგვიპტე, ინდოეთი, იტალია, საფრანგეთი, კანადა, აშშ, ისრაელი, უაზახეთი.**

# ვისაც ყური აქვს ისმინოს

მეოცე საუკუნე აპოკალიფსურია. იგი არის ქვეყნის დასაბამიდან მეშვიდე ათასწლეულის დამამთავრებელი.

ციფრი შვიდი საკრალურ, მაგიურ ციფრად ითვლება. შვიდიანი, ძველად ციკლის სიმბოლო იყო (შვიდეული, შვიდობა, შვიდდღიანი კვირა და სხვ.). მრავალ ძველ ცივილიზაციას შვიდობითი (სეპტიმალური) ათვლის სისტემა ჰქონდა, მათ შორის ჩვენს წინაპრებსაც. სეპტიმალური ათვლის სისტემის მიხედვით, შვიდი — იგივე აზრობრივი და ფსიქოლოგიური მნიშვნელობის მატარებელი ციფრია, რაც ათიათასობით ათვლის სისტემის მიხედვით.

შვიდეულის განლევა ციკლის დამთავრებას ნიშნავს. სიტყვა აპოკალიფსი აიხსნება როგორც განხსნა, დაფარულის გამომზეურება, ციკლის დამთავრება და ახალი ციკლის დაწყება. აპოკალიფსი აგრეთვე იხსენიება, როგორც მეშვიდე, ანუ საბოლოო ბეჭდის ახსნა. ქრისტიანული მსოფლმხედველობის მიხედვით, ქვეყნის დასაბამიდან შვიდი ათასი წლის შემდეგ უნდა აიხსნას ყოველი ბეჭედი, ყოველი ლუქი და ყოველ საიდუმლოს ნათელი უნდა მოეფინოს. სწორედ ამ რთულ და საინტერესო დროში მოგვიწია ჩვენ ცხოვრება.

მიუხედავად ამისა, ბევრი ქრისტიანი ჭეშმარიტებას ეძებს ცრუწინასწარმეტყველთა ჰოროსკოპებში, შამანებისა და ჯადოქრების სტატიებში, მარჩიელთა გამონათქვამებში, შავი და თეთრი მაგიების ქურუმთა ქადაგებებში, რაც საბოლოოდ ხელს უწყობს ფართო საზოგადოებაში დეპრესიული მდგომარეობისა და ერთგვარი სულიერი აშლილობის გამეფებას.

დღეს საქართველოში რთული პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობაა. ასეთ სიტუაციაში ყველა ადამიანი, განურჩევლად ასაკისა და სქესისა, ცდილობს გააცნობიეროს მიმდინარე ისტორიული პროცესები და გარკვეული არჩევანი გააკეთოს, მაგრამ შეცდომისაგან არავინაა დაზღვეული. ამიტომ, ვფიქრობ, დროული იქნება კიდევ ერთხელ გადავხედოთ „აპოკალიფსად“ ცნობილ წმიდა მოციქული იოანეს გამოცხადებას. შევეცადოთ ავხსნათ ამ კანონიკური, ქრისტიანული წინასწარმეტყველების ზოგიერთი ადგილი, უკვე მომხდარ ისტორიულ მოვლენებსა და საყოველთაოდ ცნობილ ფაქტებზე დაყრდნობით.

„...მესამე ანგელოსმა დაუკრა ბუკი და ციდან ჩამოვარდა დიდი ვარსკვლავი, გახურებული ჩირაღდანივით იწვოდა და დავარდა მდინარეების მესამედ ნაწილზე და წყალთა წყაროებზე.

ამ ვარსკვლავის სახელი იყო აბზინდა; და წყლების მესამედი ნაწილი იქცა აბზინდად და დიდძალი ხალხი დაიხოცა წყლებისაგან, ვინაიდან მწარე გახდნენ ისინი...“ (გამოცხადება იოანესი. თავი XI. 10. II.)

მთელი მსოფლიო შეაძრწუნა, როდესაც აღმოჩნდა, რომ ზემოთ მოყვანილი ვარსკვლავი, სახელად აბზინდა, ჩერნობილია, რადგან ჩერნობილი უკრაინულად აბზინდას ნიშნავს. იოანეს გამოცხადებაში მოცემული კატაკლიზმები სიმბოლოებით არის შენიღბული ისე, რომ მათი რეალური მნიშვნელობის დადგენა წინასწარ შეუძლებელი იყოს. ისინი მოყვანილია დასამოწმებლად, ანუ იმის დასამტკიცებლად, რომ ღვთის ნება აუცილებლად აღსრულდება და აგრეთვე იმისათვის, რომ ადამიანებმა იწამონ საღვთო წერილი და შემზადებულნი, ლოცვითა და მარხვით აღჭურვილნი შეხვდნენ მომავალს. „აბზინდის“ ჩამოვარდნა, ანუ ჩერნობილის ტრაგედია უტყუარი საბუთია იმისა, რომ აპოკალიფსი დღეს, ჩვენს დროში მიმდინარეობს და რომ მისი მოქმედების ადგილი, უმთავრესად, საბჭოთა კავშირია.

„... და გადმოგდებულ იქნა დიდი დრაკონი, ძველი გველი, რომელსაც ეშმაკი და სატანა ჰქვია, მსოფლიოს მაცდუნებელი და მისი ანგელოსებიც გადმოყრილ იქნენ მასთან ერთად...“

„... მაშ იმხიარულეთ, ცანო და მათნო მკვიდრნო! ვაი მიწასა და ზღვას, ვინაიდან თქვენთან ჩამოვიდა ეშმაკი დიდი მძვინვარებით, რადგან იცის, რომ დრო ცოტა აქვს...“ (თავი XII. 9. 12).

საინტერესოა, სად, კერძოდ რომელ კონტინენტზე, რომელ ხალხებზე იქნა დახეთქებული ეშმაკი? მისი მძვინვარება ყველა რასისა და ერის ადამიანთათვის ადვილი საგრძნობია. აკი პრესაშიც, ტელევიზიითაც ხშირია ლაპარაკი არნახულ დემონურ, ეშმაკურ ბუმზე მთელი მსოფლიოს მასშტაბით, მაგრამ განსაკუთრებული მძვინვარება მისი ხომ სწორედ იქ არის, სადაც იწვება ეკლესიები, იდევნებიან და სიკვდილით ისჯებიან მღვდლები, სადაც ხატებისა და წმინდანების ნაწილთა შელახვა ხდება. ასეთი ქვეყანა ერთადერთია დედამიწის ზურგზე. ასეთი ქვეყანა ერთადერთია მსოფლიოს ისტორიაში და იგი ჩამოყალიბდა აპოკალიფსური მეოცე საუკუნის დასაწყისში. ეს ის ქვეყანაა, რომელშიაც შეიქმნა მებრძოლ უღმერთოთა კავშირი და სხვა მისთანა ორგანიზაციები.

„... და მე დავინახე ზღვიდან ამომავალი მხეცი, რომელსაც შვიდი თავი და ათი რქა ჰქონდა; და მის რქებზე ათი გვირგვინი და თავებზე ღვთისმგმობელი სახელები...“

„... და ვიხილე ერთი მის თავთაგან თითქოს სასიკვდილოდ იყო განგმირული, მაგრამ ეს სასიკვდილო ჭრილობა განიკურნა და უკვირდა მთელ დედამიწას მხეცის...“

„... და მიეცა მას პირი, რომელიც ლაპარაკობდა დიდს და ღვთისგმობას. და მიეცა მას ძალაუფლება ორმოცდაორ თვეს სამოქმედოდ...“

„... და მიეცა მას რომ ეწარმოებინა ომი წმინდანებთან და გაემარჯვა მათზე და მიეცა მას ძალაუფლება ყველა ტომსა და ხალხზე, ენასა და ერზე...“ (თავი XIII. I. 3. 5. 7.).

მიწაზე გადმოგდებული ურჩხული განსახიერდა მხეცში. ამ მხეცს შვიდი თავი აქვს და თითო თავზე ღვთისმგმობელი სახელები აწერია. ვინ არის ეს მხეცი? ვინ დაჰგმო ღმერთი ჩვენთვის ცნობილი პოლიტიკური მოღვაწეებიდან? ვინ დაამხო უდიდესი მართლმადიდებელი მონარქია? ვინ იყო სასიკვდილოდ დაჭრილი, მაგრამ ყველას გასაკვირად გადაურჩა სიკვდილს? ვინ შეებრძოლა წმინდანებსა და ღვთისმსახურთ? ვინ გაანადგურა ეკლესია? ვინ იღვაწა სამწელიწადნახევარი და შემდეგ კი არ მოკვდა, არამედ „მოქმედება“ შესწყვიტა, ალბათ, რაღაც მძიმე ავადმყოფობის გამო, რომელიც ადრე მიღებულ ჭრილობასთან არ არის კავშირში?.. და ბოლოს ვინ განისვენებს არქიტექტორ სჩუსევის მიერ პერგამოსის ეშმაკის საკურთხევლის მოდელზე აგებულ სატანურ მავზოლეუმში?

ამ რამდენიმე უბრალო კითხვაზე ნებისმიერი ჩვენგანისათვის ძნელი არ უნდა იყოს პასუხის გაცემა.

„... და ვიხილე სხვა მხეცი, მიწიდან ამომავალი; მას ჰქონდა კრავის მსგავსი ორი რქა და ლაპარაკობდა, როგორც დრაკონი...“

„... იგი მოქმედებს პირველი მხეცის მთელი ძლიერებით მის წინაშე და აიძულებს დედამიწას და მის მცხოვრებთ თაყვანი სცენ პირველ მხეცს...“

„... და აცდუნებს დედამიწის მცხოვრებთ სასწაულებით, რომლებიც მიეცა მას მხეცის წინაშე მოსახდენად. და ეუბნება დედამიწის მცხოვრებთ, რომ გააკეთონ მხეცის ხატება...“

„... და მიეცა სული მისაცემად მხეცის ხატებისათვის, რომ მხეცის ხატებას ელაპარაკა და ემოქმედა ისე, რომ მოკლულიყო ყოველი, ვინც თაყვანს არ სცემდა მხეცის ხატებას...“

„... და აკეთებს, რომ ყველამ — პატარებმა და დიდებმა, მდიდრებმა და ღარიბებმა, თავისუფლებმა და მონებმა მიიღონ ნიშანი თავიანთ მარჯვენა ხელზე ან თავიანთ შუბლზე...“

„... და რომ არავის შეეძლება იყიდოს ან გაყიდოს, იმათ გარდა, რომელთაც აქვთ ნიშანი, მხეცის სახელი ან მისი სახელის რიცხვი...“ (თავი XIII II. 12. 13. 14. 15. 16. 17.).

პირველ მხეცს მოყვება მეორე მხეცი, რომელიც მის წინაშე მოქმედებს. ეს იმას უნდა ნიშნავდეს, რომ პირველი მხეცი არ მომკვდარა და არც გადაუყენებიათ მაღალი თანამდებობიდან. ის ველარ მოქმედებს. სამაგიეროდ მის წინაშე მოქმედებს მეორე, მისი მომდევნო მხეცი, რომელიც ეუბნება დედამიწის მკვიდრთ, რომ თაყვანი სცენ პირველ მხეცს და გააკეთონ მისი ხატება. იგი მოქმედებს ისე, რომ იკვლება ყოველი, ვინც მხეცის ხატებას თაყვანს არ სცემს.

ისტორიაში ძნელი მოსაძებნია ნებისმიერი სახის ტირანი, რომელიც თავის პოლიტიკას წინამდებარე ტირანის განდიდებაზე ააგებდა. სხვა ამა სოფლის ძლიერთ არ სჭირდებოდათ არავისი განდიდება გარდა საკუთარი თავისა. ასეთი რამ საჭიროა მაშინ, როდესაც ინგრევა ძველი, ათასწლეულებით გამოცდილი საზოგადოებრივი წყობა და შენდება სხვა, ღვთისმგმობი წყობა, დამყარებული შიშსა და ახალ იდეოლოგიაზე. ასეთ შემთხვევაში რელიგია იცვლება იდეოლოგიით, ცოცხალი იდეოლოგია კი იქცევა კერპად, მისი ქანდაკებები და სურათები ხატებად, რომელთა თაყვანისცემის გარეშე სიცოცხლე ეკრძალება ყველა მოქალაქეს.

ყველა ადამიანი ვალდებულია მარჯვენა ხელზე ან შუბლზე დაიწეროს ნიშანი, ან მხეცის სახელი ან მისი სახელის რიცხვი. ამის გარეშე მოქალაქეს არ ენდობიან, იგი იქცევა პოლიტიკურ და სამოქალაქო გვამად, იგი ვერც იყიდის და ვერც გაყიდის. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მისთვის აკრძალულია სოციალური აქტივობა, შემოქმედება, ხმის ამოღება. განა როდისმე, რომელიმე სხვა ქვეყანაში აიძულებდნენ ბავშვებს ყოფილიყვნენ ოფიციალური პოლიტიკური კურსის მხარდამჭერნი და გამტარებელნი? განა სხვა რაიმე დროს შესაძლებელი იყო ღარიბნი და მდიდარნი, თავისუფალნი და მონანი, ერთი გაერთიანების, ერთი ორგანიზაციის წევრები ყოფილიყვნენ თუ არა მეოცე საუკუნეში, საბჭოთა კავშირში და სტალინის დროს?

„... და ვიხილე დედაკაცი ღვთისსაგმობი სახელებით აღვსილი შვიდი თავის და ათი რქის მქონე მუქი წითელი ფერის მხეცზე მჯდომარე. და დედაკაცი შემოსილი იყო პორფირით და ძოწეულით, მორთული იყო ოქროთი, ძვირფასი ქვებით და მარგალიტებით, ხელთ ჰქონდა ოქროს სასმისი, მისი სიძვის სისაძაგლით და უწმინდურებით სავსე.

მის შუბლზე დაწერილია სახელი, საიდუმლო: დიდი ბაბილონი, მეძავთა და დედამიწის სისაძაგლეთა დედა...“

„... და მითხრა ანგელოსმა: რატომ გაგიკვირდა? მე გეტყვი საიდუმლოს ამ ქალისა და შვიდი თავის და ათი რქის მქონე მხეცის, რომელიც მას ატარებს...

...შვიდი თავი შვიდი მთაა, რომლებზეც ეს დედაკაცი ზის და შვიდი მეფე არიან: ხუთი დაეცა, ერთი არის, მეორე კი ჯერ არ მოსულა, და როცა მოვა მცირე ხანს დარჩება.

მხეცი, რომელიც იყო და არ არის, მერვეა, შვიდთა რიცხვიდან და დაღუპვისაკენ მიდის.

და ათი რქა, რომლებიც შენ ნახე, ათი მეფეა, რომელთაც ჯერ არ მიუღიათ მეფობა, მაგრამ მხეცთან ერთად მიიღებენ ძალაუფლებას, როგორც მეფეები ერთ საათს.

მათ აქვთ ერთი აზრი და თავიანთ ძალას და ძალაუფლებას მხეცს გადასცემენ.

ისინი შეებრძოლებიან კრავს და კრავი გაიმარჯვებს მათზე, ვინაიდან ის არის უფალთა უფალი და მეფეთა მეფე და ისინი, ვინც მასთანაა, არიან მოწოდებულნი, რჩეულნი და ერთგულნი...“ (თავი XVI. 3. 4. 5. 7. 8. 9. 10. 11. 12. 13. 14. )

„...ამის შემდეგ ვიხილე სხვა ანგელოზი, რომელიც ციდან ჩამოდიოდა და დიდი ძალაუფლება ჰქონდა; დედამიწა განათდა მისი დიდებით.

და დაიძახა ძლიერი ხმით და თქვა: დაეცა, დაეცა დიდი ბაბილონი, გახდა ეშმაკთა სამკვიდროდ და ყოველი არაწმიდა სულის თავშესაფარად...

ვინაიდან მისი მძვინვარების სიძვის ღვინისაგან სვა ყველა ერმა და დედამიწის მეფეები მეძაობდნენ მასთან და დედამიწის ვაჭრები მისი ფუფუნების ძალისაგან გამდიდრდნენ.

და მოვისმინე სხვა ხმა ციდან, რომელიც ამბობდა: გამოდით მისგან, ჩემო ხალხო, რომ არ ეზიაროთ მის ცოდვებს და არ მიიღოთ მისი წყლულებისაგან, ვინაიდან მისმა ცოდვებმა ცამდე მოაღწია და გაიხსენა ღმერთმა მისი უსამართლობანი.

...ამიტომ ერთ დღეს მოვა მისი წყლულები და სიკვდილი, გლოვა და შიმშილი, და დაიწვება ცეცხლში, რამეთუ ძლიერია უფალი, რომელიც გაასამართლებს მას.

და იტირებენ და გოდებენ მასზე დედამიწის მეფეები, რომლებიც მეძაობდნენ და ნებივრობდნენ მასთან, როცა დაინახავენ მისი ხანძრის კვამლს...

და დედამიწის ვაჭრები იტირებენ და იგლოვენ მასზე, რადგან აღარავინ ყიდულობს მათ საქონელს, ოქროს და ვერცხლის საქონელს, ძვირფას ქვებს და მარგალიტებს, ბისონსა და პორფირს, აბრეშუმსა და ძოწეულს, ყოველივე სურნელოვან ხეს და ყოველივე სპილოს ძვლის ჭურჭელს, დარიჩინსა და სურნელს, და საკმეველსა და ნელსაცხებელს, გუნდრუკს ღვინოსა და ზეთს, ფქვილსა და ხორბალს, საქონელსა და ცხვრებს, ცხენებსა და ეტლებს, ადამიანთა სხეულებსა და სულებს.

ყოველივე ამის ვაჭრები, რომლებიც მისგან გამდიდრდნენ, შორს დადგებიან მისი ტანჯვის შიშით, იტირებენ და იგლოვენ. (თავი ( XVIII 1. 2. 3. 4. 5. 8. 9. 11. 12. 13. 15).

აქ უნდა დაისვას კითხვა: სად, დედამიწის რომელ კუთხეში, ან კაცობრიობის შვიდათასწლიანი ცხოვრების რომელ პერიოდში ყოფილა სხვა, დიდი და ძლევამოსილი ქვეყანა, რომელიც თვითონ ვერანაირ პროდუქტს ვერ ჰქმნიდა სავაჭროდ და ყველაფერი, ფუფუნების საგნებით დაწყებული და ხორბლით, ფქვილითა და ხორცით დამთავრებული, უცხოეთის ვაჭრებისაგან უნდა ეყიდა. პასუხი მარტივია. ეს არის უკიდეგანო, ბუნებრივი და შრომითი რესურსებით უსაზღვროდ მდიდარი საბჭოეთი. ამ ქვეყნის დედაქალაქი, მეძავი ქალი და მეძავთა და ღვთისმგმობთა დედა, ზის წითელი ფერის მხეცზე, რაც სიმბოლურად ასევე მოსკოვსა და საბჭოთა კავშირზე მიუთითებს. წითელ მხეცს, ანუ სიმბოლურად დასახელებულ საბჭოთა კავშირს, აქვს შვიდი თავი და ათი რქა. შვიდი თავი ანგელოსის სიტყვით შვიდი მეფეა, რომელთაგან ხუთი დაეცა.

დავთვალოთ საბჭოთა კავშირის წინამძღოლები. ვნახავთ, რომ პირველი ორი „ბელადის“ გარდა, რომელთა შესახებ უკვე იყო ლაპარაკი და რომელნიც იწოდებიან მხეცებად და არა მეფეებად, რჩება კიდევ ექვსი, რომელთაგან მხოლოდ ერთია ცოცხალი. ეს ცოცხალი „მეფე“ მეექვსეა, ხუთი „მეფე“ კი დაცემული, ანუ მკვდარი.

ანგელოსის სიტყვებით — „ხუთი დაეცა, ერთი არის, მეორე კი ჯერ არ მოსულა, და როცა მოვა მცირე ხანს დარჩება“. ესე იგი ერთი ცოცხალი „მეფე“ არის, მაგრამ როგორც ჩანს, უნდა მოვიდეს მეორე, მისი შემცვლელი. საგულისხმოა, რომ პირველი არ კვდება, რადგან მის მიმართ არც ერთხელ არ არის ნახმარი სიტყვა „დაცემული“ ან „დაეცემა“. შესაბამისად უნდა ითქვას, რომ ლაპარაკია ამ ერთადერთი ცოცხალი „მეფის“ გადაყენებაზე, ხოლო მის შემცვლელს ასევე მალე გადააყენებენ.

ანგელოსის სიტყვები: — მხეცი, რომელიც იყო და არ არის, მერვეა, შვიდთა რიცხვიდან... ესე იგი უნდა მოვიდეს კიდევ ერთი „მეფე“, რიგით მერვე, მაგრამ რომელიც ერთხელ უკვე იყო. იგი შვიდთა რიცხვიდან არის, რადგან მათნაირია, მათთან ბევრი რამ აკავშირებს. ეს არ უნდა იყოს სხვა მსოფლმხედველობის მქონე ადამიანი. მას განსაკუთრებული მისია აკისრია, იგი „დაღუპვისაკენ მიდის“.

წითელ მხეცს აქვს ათი რქა, რაც ანგელოსის თქმით ათ მეფეს ნიშნავს, რომლებიც შვიდი მეფისაგან განსხვავებით დროის ერთ სიბრტყეში არიან განლაგებულნი. ისინი ერთმანეთის თანამედროვენი არიან. მაგრამ არა ათთა რიცხვიდან, არამედ შვიდთა რიცხვიდან, აქედან ჩანს, რომ ათი მეფე რანგით დაბალ საფეხურზეა, ვიდრე შვიდთა რიცხვიდან დასახელებული ნებისმიერი „მეფე“. ანალოგია ასეთია — საბჭოთა კავშირის ან რუსეთის მმართველი (კრემლის მპყრობელი) მაღალია რესპუბლიკების მმართველობაზე, რომელნიც სწორედ რომ ათნი არიან და ნებაყოფლობით უერთდებიან შვიდეულში დასახელებულ „მეფეს“, რომელიც აგრეთვე მხეცად იწოდება.

„მათ აქვთ ერთი აზრი და თავიანთ ძალას და ძალაუფლებას მხეცს გადასცემენ“...

ამ მეფეთა ძალაუფლება ხანმოკლეა, რადგან: „...მხეცთან ერთად მიიღებენ ძალაუფლებას, როგორც მეფეები ერთ საათს“.

მხეცი და ათი მეფე ერთი აზრის არიან და შეებრძოლებიან კრავს.

ვინ არის კრავი? პასუხი მარტივია — კრავი არის უფალი ჩვენი იესო ქრისტე, განკაცებული და კაცის სახით შეწირული, ადამიანთა ცოდვების გამოსასყიდად, როგორც უცოდველი კრავი.

ანგელოსი ბრძანებს, რომ კრავი გაიმარჯვებს, რადგან „ის არის უფალთა უფალი და მეფეთა მეფე“... ეს იმის ნიშანია, რომ ლაპარაკია იესო ქრისტეზე.

როგორ შეუძლიათ მხეცს და ათ მეფეს ებრძოლონ კრავს? მხეცი და ათი მეფეც მიწაზე დანარცხებული დრაკონის, სატანის ნაშიერნი, იბრძვიან დედამიწაზე, იბრძვიან ხორციელად. ვის უნდა ებრძოლონ კონკრეტული ბოროტი ძალები დედამიწაზე? ვინ არის კრავის სახელის მატარებელი მიწიერ ცხოვრებაში, დედამიწის ზურგზე? რისთვის არის ეს ბრძოლა? რატომ არიან ამ ბრძოლაში ერთსულოვანი ათი მეფე და მხეცი?

არის დედამიწის ზურგზე ერთი ქვეყანა, უფლის ჩვენის იესო ქრისტეს დედის. ყოვლად წმიდა მარიამ ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა, რომელსაც ებოძა ქრისტეს ჯვართი, რომელიც მრავალგზის იყო დასჯილი ქრისტიანობისათვის, ქრისტიანული სულიერისათვის (მართლმადიდებლური მსოფლმხედველობისათვის, ამ პატარა ერს ჰყავს უამრავი წამებული, მათ შორის მეოცე საუკუნეშიც, რაც უდაოდ იმის მიმნიშნებელია, რომ [illegible] აპირებს ქრისტესთვის ბრძოლას. ამ ქვეყანას ჰქვია საქართველო. ეს არის ერთადერთი ქვეყანა, რომლის ხელმძღვანელობა ათი „მეფის“ აზრს არ იზიარებს და თავის ძალისა და ძალაუფლების მხეცისათვის გადაცემა არ სურს. ეს ის ქვეყანაა, რომლის გარეშე უაზროა მათი ერთობა. ამიტომ ებრძვიან ისინი საქართველოს და საქართველოს სახით კრავს, ანუ იესო ქრისტეს.

რადგანაც კრავი საქართველოს ნიშნავს იოანეს გამოცხადებაში; ნათელი ეფინება სხვა ადგილს, სადაც მოხსენიებულია მეორე მხეცი: „..და ვიხილე სხვა მხეცი, მიწიდან ამომავალი. მას ჰქონდა კრავის მსგავსი ორი რქა და ლაპარაკობდა დრაკონი“ (თავი XIII. II). მეორე მხეცის ორი რქა, რომელიც კრავისას ჰგავდა, უთუოდ იმის ნიშანია, რომ ეს მხეცი რაღაც კავშირში იყო კრავთან, ანუ საქართველოსთან. აქ ხაზი ესმება შეუსაბამობასაც: „ლაპარაკობდა როგორც დრაკონი“. მართლაც, ქართველი და ღვთისმგმობი, ერთა, ხალხთა და ტომთა მომტყუებელი და სხვ.

როგორც არ უნდა იყოს, ჩვენ უკვე ვიცით, რომ მხეცი და ათი მეფე შეებრძოლებიან კრავს. ძლევამოსილნი და მრავალნი, ერთს, სუსტს, მაგრამ მართალს და დამარცხდებიან, რადგან კრავია „...უფალთა უფალი და მეფეთა მეფე, და ისინი ვინც მასთანაა, არიან მოწოდებულნი, რჩეულნი და ერთგულნი“.

სიმართლე ყოველთვის იმარჯვებს საბოლოოდ. „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“. ეს სიტყვები ფუჭი არ არის. ვისაც სიმართლის გამარჯვების არ სწამს, ვისაც ღმერთის არ სწამს, დღევანდელ სიტუაციაში სწორედ ის არის, ვისაც თვალები აქვს და ვერ ხედავს, ყურები აქვს და არ ესმის. ასეთ ხალხს დახშული აქვს სული, მათი გულები მხოლოდ სისხლის გადამტუმბავ, მექანიკურ ხელსაწყოდ ქცეულან. ვისაც არ ესმის და ვერ ხედავს, ის უნებლიეთ ხდება ბოროტი, ბნელი ძალების სურვილთა აღმსრულებელი. დღევანდელ დღეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გულისა და ტვინის გახსნა. არც ერთი წამით არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ვცხოვრობთ აპოკალიფსის დროს, მისი მეჩვიდმეტე თავის ბოლო ნაწილში.

„...და მოვისმინე სხვა ხმა ციდან, რომელიც ამბობდა: გამოდით მისგან, ჩემო ხალხო...“

„სხვა ხმა“ — განსაკუთრებული მნიშვნელობით არის ნახმარი ტექსტში, მანამდე წმიდა იოანემ იხილა ანგელოსი, რომელსაც დიდი ძალაუფლება ჰქონდა, რომელმაც სამყაროს დიდი ბაბილონის დაცემა ამცნო. ამის შემდეგ გაისმება „სხვა ხმა ციდან“, რომელიც რომელიღაც ერს, ანუ ხალხს თავისად მიიჩნევს და უბრძანებს მას (ერს), გამოვიდეს დიდი ბაბილონიდან. ვის უნდა ეკუთვნოდეს ეს ხმა და ეს სიტყვები? ცხადია, ანგელოსი ვერ მიიჩნევს ამა თუ იმ ხალხს თავისად. ამ შემთხვევაშიც, უდაოდ, საქმე გვაქვს ღვთისა და ხალხის განსაკუთრებულ ურთიერთდამოკიდებულებასთან, ზეციური კრავისა და მისი ინტერესების დამცველის, მიწიერი კრავის, ანუ საქართველოს ურთიერთობასთან. დიდი ბაბილონი კი, როგორც ცნობილია, წარმოადგენს უზარმაზარი, ძლიერი სახელმწიფოს სიმბოლოს, რომელიც თავისმა ძლევამოსილებამ იმდენად გააკადნიერა, რომ უგულებელჰყო ღმერთი, რაც აუცილებლად გამოიწვევს ღვთის რისხვას და ბაბილონის აღგვას პირისაგან მიწისა.

უფლის მიერ განცხადებული გამოსვლა მისი ერისა, იმას ნიშნავს, რომ ღვთის ნება უნდა აღსრულდეს. ღმერთი მხოლოდ მოწოდებებით არ კმაყოფილდება. იგი დღეს ისევე გამოიყვანს თავის ხალხს „დიდი ბაბილონიდან“. როგორც სამი ათასი წლის წინ ეგვიპტის მონობიდან გამოიყვანა.

ყოველივე ეს უნდა ვიცოდეთ, რომ დღევანდელ სიტუაციაში არ შევცდეთ და სწორ პოზიციაზე დავდგეთ. აპოკალიფსის დროს, ერთა, ხალხთა და ტომთა განკითხვის მომენტში, სწორი შეიძლება იყოს მხოლოდ პოზიცია კრავისა, არა მხეცისა.

„...ვისაც ყური აქვს, ისმინოს.

ვისაც ტყვე მიჰყავს, თვითონაც წავა ტყვედ; ვინც მახვილით ჰკლავს, თვითონაც მახვილით კვდება. ამაშია წმიდანთა მოთმინება და რწმენა...“ (იოანეს გამოცხადება, თავი XIII. 9. 10).

ოთარ ლითანიშვილი



ეროვნული ბიბლიოთეკა

**ხომ იცით მონობაში არწივი ას წელს ვერ ცოცხლობს, ხოლო თუ თავისუფალია, ორასსაც გადააჭარბებს. არ გინახავთ ქათამზე ნადირობის დროს დატუსაღებული ქორი? დიახ, როცა უკვე თავისუფლებაში აღზრდილ ქორს, თავისუფლებას ჩვეულს, ატუსაღებს ვინმე, იგი ერთ კვირასაც ვერა ხძლებს მონობაში და კვდება. რამ მოკლაო, რომ იკითხოთ, „გულმაო“ — გიპასუხებენ.**

# რა არის თავისუფლება?

ძმობა, ერთობა, თავისუფლება. ამ სიტყვებით გაოფლენთა არა მარტო ადამიანთა ყურები, არამედ ქვებიც კი; არა დროს ჩვენის ქვეყნის დაარსების შემდეგ, არა გვგონია ასე მძლავრად და საყოველთაოდ როდისმე ჰსმენოდეს საქართველოს ეს სამი სიტყვა.

უნდა ვიცოდეთ, გვესმოდეს თუ რას ჰქვიან თავისუფლება, საცა არ არის თავისუფლება, იქ ვერ იპოვნით ძმობა-ერთობას, იქ შეჰხვდებით მხოლოდ მტრობას, ქიშპობას, ჰამა-გლეჯას და მგლობას; მგლების ბანაკი ერთის მხრით, ხოლო მეორეს მხრით ცხვრის ფარა, საცა ნავარდობენ მგლები... საცა მგლები ბუდობენ, იქ ცხვრები რას იხეირებენ? ან რა ძმობა შეიძლება მათ შორის? ...თუ შეუძლებელია, მოუთავსებელი და მოუხერხებელი მგლებისა და ცხვრების შაერთება, რაღა ვყვირით, რად ვიძახით ამ ძმობა-ერთობას? ვიძახით და უნდა ვიძახოთ, მაგრამ მგლებს ხომ არ ვეძახით, არამედ დაქსაქსულ-დაფანტულს, დაწიოკებულს ცხვრებს, რომ მოუყარონ თავითავს, შაერთდენ, მოიფიქრონ როგორ მოუარონ თავისთავს, რათა მგლების საჰმელ ლუკმად აღარა ხდებოდნენ, უნდა გამოძებნონ საფარი და გზა სავალი... მგლებს ამ დროს იქ რა ესაქმებათ? ამ დაძახილზე თითქოს ყურსაც იყრუებენ, არც მოვლენ, ხოლო თავისიანებს, გაგიმარჯოსთ, რომ მგლებიც კი ძმობა-ერთობას უქადაგებენ. თუ ასე არ მოიქცნენ, ხომ დაეკარგათ ძალა და ცხვრებმა სათითაოდ, თუმც ამ უკანასკნელთ არა აქვთ გაალმასებული კბილები, გაათავეს რქებით და ჩლიქებით?! ძმობა ხომ იმას მოასწავებს, როცა ერთს მგელს გაუჭირდება, მეორე უნდა მიეშველოს. ეგრეთვე თუ ცხვარი — ცხვარს.

მაგრამ, მაგარი ის არის, რომ მგლებს ისე არ ესაჭიროებათ ერთობა, როგორც ცხვრებს, რადგან თვითეულს მგელს საკმაო ძალა აქვს ცხვრებთან საბრძოლველად, — ძალა, რასაკვირველია, ფიზიკური, რომელსაც ისინი ხმარობენ ცხვრებზე. ცხვრების ძლიერება კი ერთადერთი ზნეობრივი ძალაა...

ჩვენ მოვისურვეთ თავისუფლება: განუკითხავად არ ეჭამა და ეპარსა ჩვენი თანამოძმენი მოსისხლე მხეცებს... ჯერჯერობით ამაში გამოიხატება ჩვენი წადილი თავისუფალი სიცოცხლისა. რომ ძალმომრეობას გზა მოვტაცოთ და თანდათან სრულიადაც მოვსპოთ იგი.

იქ რა უნდა თავისუფლებას, საცა, მე ვტირი, ის იცინის და ჩემში მტაცებლის მიმართ მხოლოდ ზიზღი და გრძნობა შურისძიებისა სდუღს და გადმოდის.

მოწამლულ-მოძხამულია ჩემი სიცოცხლე, ვგრძნობ მხოლოდ უსიამოვნებას, სიძულვილს და ვწყევლი იმ ძალებს, იმ მგლებს, რომელნიც საქმეში ხელს მიშლიან, წინ მელობებიან და ვუცდი მარჯვე შემთხვევას შევმუსრო ისინი... როცა ეს დრო დგება და მეც მოქმედებას ვიწყებ ამ ძალთა შესამუსრავად, დასთრგუნად, მაშინვე იწყება ჩემი თავისუფალი ცხოვრება; აქ არის დასაწყისი თავისუფლებისა.

არ იძლევა, არ დამარცხდება მჩაგვრელი ძალა, არ დაფრთხება მგლის ჯოგი, ვიდრე ამას არ იტყვის უმრავლესობა. იტყვის კი როდისმე ერი გადაჭრით, თავ-გამოდებით „სიკვდილი ან სიცოცხლე“ (ე. ი. თავისუფლება)? — იტყვის და ამბობს კიდევაც. ამას ჩვენის თვალით ვხედავთ. აშკარად ვგრძნობთ ყველანი... თუ ეს ფაქტია, ნამდვილი მოვლენა, მაშინ იცოდეთ, სიკვდილი აღარ შეგვაშინებს, მაშინ ყველა მზად იქნება თავი დასდოს თავისუფლებისათვის და გამარჯვებაც უსათუოა, ამიტომ, ვიმეორებ, ვისაც თავისუფლება უყვარს და უნდა მისი დამყარება ქვეყნად, ჯერ უპირველეს ყოვლისა, უნდა შეიძულოს მთელის თავის არსებით, გულით და გონებით მტარვალნი და მტარვალობა. ეს არის მხოლოდ საშუალება, რომლის წყალობით ადამიანს შეუძლიან მედგრად იბრძოლოს და არ დაზოგოს სიცოცხლე თავისუფლების მოსაპოვებლად...

და რა არის ეს თავისუფლება, რატომ არ იკითხავთ? უკაცრავად ნუ ვიქნები, რომ მე ჩემებურად განვმარტო ეს სიტყვა: თავისუფლება ხალხისთვის მტარვალთაგან წართმეული ბედნიერებაა. ბედნიერებაწართმეულს რა ჰრჩება უბედურობის მეტი? — არაფერი. კიდეც იმიტომ არის, რომ უბედურად ჰგრძნობს თავის თავს ყველა დამონებული, თავისუფლებას მოკლებული ერი და პიროვნება. წართმეველნი სარგებლობენ ამ ნაყაჩაღარის ბედნიერებით მხოლოდ ცოტა ხანს, რადგან ცხოვრების ლოღიკის წყალობით ეს ნადავლი, მოპარული ბედნიერება მტაცებელთათვის უბედურებად ხდება.

რას თხოულობს თავისუფლება ადამიანისაგან? როგორ უნდა იქცეოდეს თავისუფალი ადამიანი? — თავისუფალი ადამიანი უნდა იქცეოდეს ისე, რომ თვის ყოფაქცევით სხვას არ ჰვნებდეს, მით უმეტეს საზოგადოებას, არამედ მისი მოქმედება უნდა იყოს მიმართული ქვეყნის სასაბედნიეროდ. თუ ეს პირობა არ იქნება ადამიანისაგან დაცული, მაშინ მისი მოქმედება იქნება ავაზაკური, ვინაიდან ყოველი ავაზაკი თავისუფლად იქცევა მხოლოდ პირადი სარგებლობისათვის. მაშასადამე, მხოლოდ იმაში არ გამოიხატება თავისუფლება, რაც გნებავს ის ილაპარაკო, სწერო, აკეთო, — არა! უნდა ყოველს სიტყვას და მოქმედებას საერთო, საზოგადო ბედნიერება ედვას სარჩულად, ქვეყნის თუ სასარგებლო არა, სამავნებო, საზარალო მაინც არ უნდა იყოს ქვეყნისათვის ყველა ჩვენგანი. ხალხისათვის მოტაცებული თავისუფლება მტაცებელთა ხელში როდია თავისუფლება, იგი იქცევა მტარვალობად.

თავისუფლება, მტარვალთაგან (უმცირესობა) ხალხისაგან (უმრავლესობა) წართმეული ბედნიერებაა.

თავისუფლების მტერია ის ადამიანი, ვისაც არ უყვარს თავისი თავი. თავმოყვარეობა ორნაირია: ბრიყვული და გონივრული. ბრიყვული, როცა ადამიანი მარტოდმარტო თავის თავზე ზრუნავს. ამისთანა ადამიანი მსგავსია მხეცისა, იგივე მხეცია და მისი თავმოყვარეობა არის მხეცური. მგელიც ასე ფიქრობს, ოღონდ თვითონ გაძღეს და იმის ჭირის ნაცვალი იყოს ათასი სული ცხვარი და ათიათასი. არაფერია მგლის ფიქრით ეს ცოდვა, ეს დანაშაული. თავისუფლება უნდა იყოს საერთო, საყოველთაო და არა საკუთრება რამდენიმე ადამიანისა, როგორც დღეს არი.

მგელი კი თავისუფალია ვითომ? არა. ისიც მუდამ შიშის ქვეშ იმყოფება, დღეს თუ ხვალ უნდა ამომშხამდეს მგლობაო, ფიქრობს იგი, უნდა მომკლანო. ბოლო მგლისა მაინც ეს არი: მგელს ადამიანი სდევნის, თუნდ არაფერს აშავებდეს, რადგან მგელია, ნადირია, ტყავი აქვს გამოსადეგი, ხოლო მგლად ქცეულს ადამიანს ასე არ უნდა მოვეპყრათ! ჩვენ უნდა მოვუსპოთ მას საშუალება, დავუკეტოთ მგლური ინსტიქტების სურვილების სანავარდო და მორჩა მისი მგლობა.

თავისუფლების კანონთა თანახმად, შეიძლება მაშ, სხვას ცოლი, ცხენი წაართვა კაცმა, ვსთქვათ ივანემ პეტრეს, რადგან პირველს მოსწონს პეტრეს ცოლი და ცხენი? არა, თავისუფლება ამას არ გვიქადაგებს, რომ ყოველი ჩვენი სურვილი, გრძნობა, ყოველი ჩვენი ვნება დავაკმაყოფილოთ წინდაუხედავად. ჩვენის გრძნობების დაკმაყოფილება და ჩვენთა სურვილთა მხოლოდ მაშინ არის შესაწყნარებელი, თუ ამით ჩვენ სხვას, ცალკე ადამიანს ან საზოგადოებას თავისუფლებას არ წავართმევთ. ყველა ეს საჭიროა ერისთვის როგორც ცალკე ადამიანისთვის.

**ვაჟა ფშაველა**

# პეიზაჟი რუსთაველის ქუჩაზე მდებარე №1 სახლიდან

23 დეკემბერი. დილის 12 საათი. თავისუფლების მოედანზე 70 წელს მიღწეული, ყავისფერ პალტოში და თავსაფარში გახვეული მოხუცებული ნელ-ნელა გადადის რუსთაველის ქუჩაზე. ეშინია, სწრაფად უნდა გადაჭრას ქუჩა და მეტროში შევიდეს, მაგრამ ძალა არ ყოფნის და უცებ, გასროლის ხმაზე მოწყვეტილი ეცემა... სისხლი გაიყინა, სიჩუმემ თითქოს საუკუნე გასტანა. შენელებული კადრივით ნელა და უჩუმრად დაიძრა ხალხი მეტროდან, სახლის კუთხიდან, მალაზიიდან. ყველანაირ რეაქტიულ იარაღზე უფრო ძლიერი, ჭეშმარიტად ქართული, უშიშარი სისხლი ახმაურდა უიარაღო და ამის გამო თითქოს უსუსურ ხალხში, მიცვალებული ხელში აიყვანეს... უკიდეგანო პროტესტი გახმაურდა, მთელ ქუჩას მოედო, შიშის ძლევა ერთმა სიტყვამ გაამჟღავნა — ზვიადი! ზვიადი!

როცა ყუმბარები ისვრიან, მუზები დუმდებიანო — ამბობენ ხალხში, ჩვენი დემოკრატ-ინტელიგენციის მუზები უყუმბაროდაც დადუმებული იყვნენ, თუმცა დღეს სრულმა სიჩუმემ მოიცვა მუზაც და ელიტაც.

ყველანაირ აჯანყებას, რევოლუციას, ომს — იდეოლოგია ბადებს. ასე დაბადა ჩვენმა სახელოვანმა, ელიტარულმა საზოგადოებამ დღევანდელი სიტუაცია. ზოგი აქტიურად ამზადებდა აჯანყებას, ზოგი პასიურობდა, უზნეობას არ ამხელდა, ზოგი კი, ოპოზიციურ პრესასთან თანამშრომლობდა და პროფესიულ ვალს იხდიდა სამშობლოს წინაშე. ამან აალებინა ხელში იარაღი 17-18 წლის პირტიტველა ბიჭებს და ამის გამო დგას დღეს რუსთაველის პროსპექტზე სისხლის ტბორი.

პილატემ ხელზე წყალი გადაივლო და მსოფლიო დანაშაულზე, მაცხოვრის ჯვარცმაზე პასუხისმგებლობა მოიხსნა. ამან ვერ შეაჩერა ბრბო და ქრისტე ჯვარს აცვეს. შედეგი ერთია, რა მნიშვნელობა აქვს ვისი პასუხისმგებლობით მოხდა ეს. ამიტომ მოგმართავთ დღეს თქვენ, დადუმებულო ინტელიგენციავ, ხმა ამოიღეთ, გაემიჯნეთ ან დადექით იქ, სადაც თქვენი ადგილია. გარწმუნებთ, საქართველოს ხსნა მხოლოდ აქ არის, თბილისში, საქართველოში. ერის ხმა, ხალხი გადაარჩენს იმ სიძულვილით ალტკინებულ ახალგაზრდებსაც და სიყვარულით გაერთიანებულ ხელისუფლებასაც. სიყვარულს უშენებია ეს ქვეყანა და სიძულვილი ვერასოდეს დაანგრევს.

**მაია ხვანიძე.**



# შენ შუბლს იხსნი და სიბნელეს ლეწავ...

ერთი უბრალო ქართველი კაცის საფლავის ქვაზე ასეთი წარწერაა გაკეთებული: „ის (სახელი და გვარი წაშლილია) ბედნიერი წავიდა ამ ქვეყნიდან, ვინაიდან მისი ნეშტი თავისუფალი საქართველოს მიწამ მიიბარა“. ესოდენ ძვირფასია ქართველისთვის მისი ქვეყნის თავისუფლება, აღარას ვამბობთ იმაზე, თუ როგორ ოცნებობდნენ საქართველოს თავისუფლებაზე ილია და აკაკი, ვაჟა და გალაკტიონი.

მოსეს, ღვთის მოციქულს, უფალი გამოეცხადა და უთხრა — „არა იწამო სხვა ღმერთი ჩემს გარდა, არა თაყვან სცე სხვა კერპთ, თორემ უბედურ რისხვას დავატეხ თავზე შენს ხალხსაო“. საქართველოში ერთხელ უკვე მოხდა საბედისწერო შეცდომა, ერთხელ უკვე გავიხადეთ კერპად სატანა და კიდევაც დაგვატყდა თავს უბედური რისხვა. ერთხელ უკვე დაიპყრო რუსეთის სატანურმა იმპერიამ საქართველო ქართველისავე ხელით, და აი დღეს, 70 წლის შემდეგ, იგივეს განხორციელებას ცდილობს, მაგრამ ამაოდ, ქართველი ხალხი შეცდომას არასოდეს გაიმეორებს, აღარ აჰყვება ბოლშევიკების შთამომავალთა ფეხის ხმას.

რამდენიც არ უნდა იძახონ პროვოკატორებმა, რომ საქართველო გაყოფილია, ძმამ ძმის წინააღმდეგ აღმართა ხელიო, ამის დაჯერება შეუძლებელია. დღეს საქართველო ერთიანია, ისე როგორც არასდროს, მოღალატენი კი ყოველ ერს ჰყოლია ყოველთვის და დიდი პატივია მათთვის ქართველებად იწოდებოდნენ, ისინი სისხლიანი იმპერიის ხელმძღვანელობით ცდილობენ დათრგუნონ ჩვენი ერის თავისუფლებისმოყვარე სული.

მაგრამ ეს უკვე შეუძლებელია.

დღეს ყველამ იცის, ვის ემსახურებიან ისინი, რომლებმაც დემოკრატიის სახელით იარაღი მიუშვირეს საკუთარ ხალხს, საკუთარი ხალხის მიერ არჩეულ პრეზიდენტსა და ხელისუფლებას. მთელი მათი ბოღმა ბატონი ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ მიმართეს, ვინაიდან სწორედ მან გამოუთხარა ძირი რუსეთის იმპერიას, მან მოუსპო საქართველოს მონობაში ხელმეორედ შესვლის ცისფერი ოცნება ქართველი ხალხის მოღალატეებს. ისინი იმ პრეზიდენტის გადადგომას ითხოვენ, რომელიც მათ არ აურჩევიათ და რომელიც ქართველი ხალხის რჩეულია. ესაა მათი ყბადაღებული დემოკრატია, მაგრამ მალე ყველას თავისი მიეგება — კეისარს კეისრისა, ღმერთს ღმრთისა.

დღეს დიდი გამოცდის წინაშე დგას ქართველი ერი, მან უნდა გაუძლოს ამ გამოცდას, რამეთუ სულ მალე დადგება ჟამი, რომელზედაც ოცნებობდნენ და ამ ოცნებას ეწირებოდნენ ჩვენი წინაპრები.

შენ შუბლს იხსნი და სიბნელეს
ლეწავ,
საქართველოს მოღრუბლულო
ზეცავ!
ნეტა მალე დაამსხვრევდე
ბორკილს,
ნეტა მალე მიაღწევდე მიზანს!

ეს გალაკტიონმა 1919 წელს დაწერა. დღეს უკვე განვლილი წლების სიმაღლიდან შეგვიძლია სიამაყით ვთქვათ, რომ ეს სიტყვები ფუჭად არ დაწერილა, სულ მალე დადგება საოცნებო ჟამი, რამეთუ დღეს საქართველო უძლეველია ისე, როგორც არასდროს, უძლეველია ერის ერთიანობით.

**მაია გამცემლიძე,**
**მაკა ბარდაველიძე**

რედაქტორი თამარ ეგრალიძე
სარედაქციო კოლეგია: ზვიად გამსახურდია, მუხრან მაჭავარიანი, გურამ პეტრიაშვილი, თემურ ქორიძე, ნოდარ წულეისკირი, მარიკა აბაიშვილი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, მერაბ კოსტავას ქუჩა № 14. ტელეფონი 93-81-57.

ინდექსი 66421